წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 24 ივნისი 1915 წ. № 27

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე), და ღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.
მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.
**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская, 4 поч. ящикъ 76.
კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ახალი კლუბის“ გამგეობის. საბჭო
ამით აუწყებს კლუბის წევრთ, რომ 30 ამა ივნისს საღამოს 8 საათზე კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა
საგანგებო კრება
განსახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:
1) ნახევარი წლის ანგარიში,
2) მიმდინარე საქმეები და
3) არჩევნები კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა.

ძმ. ზუბალაშვილების სახელ. სახალხო სახლი
ოთხშაბათს 24 ივნისს ქართველ მსახიობთა მიერ
ვალ. გუნიას, ვ. გამყრელიძის და გ. გედევანიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
დ ა - ძ მ ა
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.
რეჟისორი ვალ. გუნია. გამგე ი. ჟივიძე
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

პირველხარისხოვანი
„კ ა ფ ე ბ ო რ დ ო“
მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.
**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.
პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

გამოვიდა ახალი ქართული წიგნი
პედაგოგიურ კითხვების გარშემო
ვას. ჯაფარიძისა და იაკ. ზედგინიძისა
ფასი 20 კაპ. 5—1

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ქ. გორში
ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ომის ღიური

## მიმოხილვა

განთქმული გერმანელი სამხედრო მწერალი კლაუზევიცი ასე ახასიათებს ბრძოლის მიზანს: „ბრძოლა არის იარაღი სტრატეგიისა ომის მიზნის მისაღწევად; იგი უმნიშვნელოვანესი საომარი მოქმედებაა; ომის დროს ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს ბრძოლის ინტერესს, ყველაფერი მისკენ უნდა იყოს მიმართული და მას უნდა უწყობდეს ხელსა; ჯარის ყოველნაირ გადაჯგუფებას და მოძრაობას საბოლოო მიზნად ისევ ბრძოლა აქვს, მაგრამ მას ხელს უნდა უწყობდეს არა მარტო ტოპოგრაფიული (ადგილ-მდებარეობა), არამედ ეკონომიური პირობანიც. თუ ერთ-ერთი მებრძოლი ბრძოლას ერიდება, იგი სჩადის ამას გარკვეულ და ნათლად შეგნებულ მიზნისთვის—რათა საუკეთესოდ მოემზადოს უმნიშვნელოვანეს მოქმედებისთვის, ე. ი. ბრძოლისთვის“.

ეს არის საანბანო ჭეშმარიტება სამხედრო მეცნიერებისა. ორივე მებრძოლი ცდილობს მოპირდაპირეს ისეთ ადგილში და პირობებში შეებრძოლოს, რომ ბრძოლის ველის ადგილ-მდებარეობა, დრო და მთელი რიგი პირობებისა მისთვის რაც შეიძლება მეტად ხელსაყრელი და გამოსადეგი იყოს, ხოლო მოპირდაპირისთვის—რაც შეიძლება ავნე და არა ხელსაყრელი. თუ ერთ მებრძოლისთვის გარემოებათა მიერ შექმნილი კომბინაცია ადგილ-მდებარეობისა ხელსაყრელი არ არის და სახიფათოა ასეთ პირობებში ბრძოლაში ჩარევა, იგი იძულებულია უკან დაიხიოს იმ დრომდე და იმ ადგილამდე, სადაც და როცა მას შეუძლიან სცადოს ბედი და შეასრულოს „უმნიშვნელოვანი მოქმედება“, ე. ი. მტერს ბრძოლაში შეება.

აგერ მესამე თვე მიდის რაც გალიციის უმაგალითო ბრძოლა დაიწყო. დღიდგან ამ ბრძოლის დაწყებისა მრავალი ბრძოლა არსებითად საარიერგარდო ბრძოლები იყო, ვინაიდგან „რეჩის“ ანგარიშით ტომაშოვამდე ავსტრო-გერმანელები მოდიოდნენ დღეში 8 ვერსის სისწრაფით, ხოლო ტომაშოვიდან ზამოსტიემდე მათ ერთ დღეში 30 ვერსი გაიარეს. რუსის ჯარი უკან მოიწევდა და ისეთ დროსა და ადგილს ეძებდა, რომელთა კომბინაცია ხელსაყრელი იქნებოდა იმისთვის, რომ მას ეცადნა მოპირდაპირის შეჩერება. ასეთი ადგილი, როგორც მრავალჯერ მოვიხსენეთ, უნდა ყოფილიყო ლიუბლინ-ხოლმის პირი, უკეთ რომ ვთქვათ—მთელი მანძილი ვისლისა და ბუგის შუა. მაგრამ სტრატეგიულად ეს ხაზი რუსის ჯარისთვის არც ისე ხელსაყრელია, რადგან თუმცა ორივე წვერს (ფრთას) იცავს ორი ბუნებრივად ძლიერი პოზიცია, ორი მდინარე, მაგრამ მათი გადალახვა და ფრთების მოვლა მაინც შესაძლებელია. ლიუბლინ-ხოლმი მოპირდაპირისთვის მხოლოდ მახლობელი მიზანია, ერთგვარი დაბრკოლება საერთო გზაზე, მხოლოდ სადგურია, საიდანაც შეჩერების შემდეგ ისევ უნდა დაიძრას, თორემ იგი აქ გაჩერებით ბევრს ვერაფერს მოიგებს. ამიტომ მისი საბოლოო მიზანი მეორე ოპერაციისა (პირველი ოპერაცია გალიციაში არსებითად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს) უნდა იყოს ბრესტის სიმაგრე მარჯვნივ და ივანგოროდისა მარცხნივ. თუ ეს გეგმა მართალი გამოდგა, დაწყებული ოპერაცია მეტად მძიმე და რთულ საქმედ უნდა ჩაითვალოს, . .
. . . . . . . . . . . . . . . . .

ლიუბლინისკენ, როგორც ვიცით, კრასნიკის გზით ავსტრიელთა ჯარი მიიწევს იოსებ ფერდინანდის სარდლობით, ხოლო ხოლმისკენ—გენერალთა ჯარი გენერალ მაკენზენისა. საერთო ბრძოლა დაიწყო 18 ივნისს. 19 ივნ. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ ამ დღეს ლიუბლინისკენ მომავალი ჯარი კრასნიკიდან ბიხავასკენ მოიწევსო (20 ვერსის მანძილზეა ლიუბლინიდან, სამხრეთით). დღევანდელ დეპეშიდან სჩანს, რომ ამ ჯარს მეტად მედგარ და ცხარე ბრძოლის შემდეგ 21 ივნისს წინ წამოუწევია კრასნიკსა და მდინარე ვეპრჟის შუა. რუსის ჯარს სამაგიეროდ მოუგერებია ვეპრჟიდან ბუგამდე მომავალი მაკენზენის ჯარის იერიშები. თუმცა დეპეშაში ნათქვამი არ არის, სადამდე ამოსულა ლიუბლინისკენ მომავალი იოსებ ფერდინანდის ჯარი, მაგრამ—ეს სულ ერთია,— ამ მოძრაობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ წინ წამოწეული მდინარე ვეპრჟზე ავსტრიელთა ჯარის მარჯვენა წვერი ემუქრება მარჯვენა წვერს და საკვებ გზებს რუსის იმ ჯარისას, რომელიც მაკენზენის ჯარს ებრძვის, ამიტომ შესაძლებელია რომ რუსის ჯარმა ბრძოლის პირის გასასწორებლად კიდევ დაიხიოს.

მ. ბ—ლი

## დეპეშები

**თბილისი,** 22 ივნისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 20 ივნისს ზღვის პირა ადგილებში სროლა ხდებოდა. სოფელ ავბაზიკის დასავლეთით, ყარადერბენტის რაიონში ჩვენმა ცხენოსანთა რაზმმა ორ სუვართა ესკადრონზე იერიში მიიტანა, არივ-დარია და უკუაქცია. ესკადრონმა თან ქვეითი ჯარი გაიყოლია. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 21 ივნისი. მთავარი შტაბის ოფიციალური მოხსენება. ედვაბნოს რაიონში 20 ივნისს გერმანელებმა ააფეთქეს ორი ნაღმი. აფეთქებამ უშედეგოდ ჩაიარა. აფეთქებულ ადგილას სასტიკი სროლა დაიწყეს. მეორე დღეს რუსებმა ააფეთქეს გერმანელების ნაღმის გალერეა, რასაც კვლავ საშინელი სროლა მოჰყვა. ლიუბლინის მიმართულებით 21 ივნისს გერმანელებმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ წინ წაიწიეს კრასნიკისა და ვეპრჟის შუა. ვეპრჟსა და დასავლეთ ბუგის შუა, აგრეთვე ამ უკანასკნელ მდინარის ნაპირებზე სოფ. კრილოვთან და ქალ. სოკოლთან 20—21 ივ. რუსებმა მოიგერიეს გერმანელთა რამდენიმე სასტიკი იერიში. ამასთანავე რამდენიმე ასი კაცი ტყვედ ჩაუვარდათ. ბუგზე სოკოლის ზემოდ, ზოლოტაია ლიპასთან და დნესტრზე მდგომარეობა არ შეცვლილა.

**პეტროგრადი,** 22 ივნისი. შვედელთა ელჩმა პეტროგრადში საიმპერატორო მმართველობას აუწყა, რომ 19 ივნისს, საზღვაო ბრძოლის დროს, კუნძულ გოტლანდთან, რუსთა სამხედრო გემების მიერ გამოსროლილი ყუმბარები შვეციის კუნძულს ოსტროგანს გადააფრინდა და ნაპირიდან 200 მეტრზე დაეცა. ამიტომაც, სთქვა ელჩმა, შვეციელთ ეს ამბავი ნეიტრალიტეტის დარღვევად მიგვაჩნიაო. მან თავის იმპერატორის სახელით პროტესტი განაცხადა. მიიღო რა ეს გარემოება მხედველობაში, რუსეთის საიმპერატორო მთავრობამ გულწრფელი სინანული გამოსთქვა, ეს ბურუსის გამო თუ მოხდებოდა და თან აღუთქვა, რუსეთს ღრმად სწამს, რომ ეხლაც და მერმისაც აღარ მოუვა შეცდომა და შვეციის ნეიტრალობას არ შეეხებაო.

**პლიმუტი,** 21 ივნისი. „რეინრუსა“ და „ლარჩმორის“ მეზღვაურები გადმოიყვანეს ნავთ-სადგურში. ეს გემები გერმანელთა წყალქვეშას მიერ დაიღუპნენ. გემები სცდილობდნენ გაქცევას, მაგრამ წყალქვეშა წამოეწია მათ და ძლიერი ცეცხლით არ მოასვენა. ერთი მეზღვაურთაგანი „დარჩიკზე“ მოკლულია, მეორე დაჭრილია.

**მოსკოვი,** 21 ივნისი. მოსკოვის მთავარ გამგებლის მიერ დადგენილება გამოიცა, რის ძალითაც 3000 მანეთი ჯარიმა გადაჰხდება, ვინაც ინვალიდების სახით მათხოვრობას გასწევს, ანუ გერმანულ ენაზე დაილაპარაკებს საჯაროდ, მაღაზიებში, თუ ფაბრიკა-ქარხნებში.

**უნგენი,** 21 ივნისი. სტამბოლიდან იუწყებიან. ტყვია-წამალი დიდად შემოგვაკლდაო. მართალია, რუმინია-ბოლგარიიდან გააქვთ პატარ-პატარა სამხედრო კონტრაბანდა, მაგრამ ამითი მაინც შეუძლებელია ყველა ფრონტზე საჭირო მასალა მიაწოდონ, განსაკუთრებით დარდანელში, სადაც სამხედრო მასალა მხოლოდ ორი კვირის სამყოფი-ღაა. თუ ავსტრიიდან შესწყვიტეს სამხედრო კონტრაბანდის შეტანას, მაშინ დარდანელისა და სტამბოლის ბედი გარდაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

**რომი,** 21 ივნისი. ტიროლ-ტრენტინის რაიონში და კორნიაში საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. გენზელის ფორტი გუშინ რამდენჯერმე გახვეულ იქმნა ზარბაზნის ცეცხლში. პალგრანდეს ჩრდილოეთ ფერდობზე ავსტრიელები ხელახლად დაგვეცნენ იტალიელებს. მათ ზურგს უმაგრებდა ძლიერი არტილერია. იტალიელებმა იერიში მოიგერიეს. კაზრინის მწვერვალებზე ავსტრიელებმა ძლიერი იერიში მოიტანეს, მაგრამ მოგერიებულ იქმნენ. იტალიელებს ტყვედ ჩაუვარდათ 500 ჯარისკაცი, 2 ზარბაზანი, მრავალი თოფი და ტყვია-წამალი.

ავსტრიელთა ჰიდრო-ჰაეროპლანი გამოჩნდა ალბერონში, მაგრამ მას დაედევნენ ფრანგ-ინგლისელთა ჰაეროპლანები და ციხეებიდან კიდევ ზარბაზნის ტყვია-დაუშინეს. ჰიდრო-ჰაეროპლანი გაიქცა, აღმოსავლეთით რამდენიმე ყუმბარა ჩამოაგდო, თუმცა ზარალი არავისთვის არ მიუყენებია.

**პარიზი,** 20 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტილერიის მოქმედება მეტად გამოცოცხლდა. ბელგიაში ნიუპორტის რაიონში სტენსტრეეტის ფრონტზე და არასიდან ჩრდილოეთით, მდ. ენის მარჯვენა ნაპირზე და პასის მახლობლად, სანაღმო ბრძოლა გრძელდება. არგონში ყუმბარების და ნაღმების სროლა ქვეითი ჯარის დაუხმარებლად სწარმოებს.

**თეირანი,** 21 ივნისი. მეჯლისის ერთი ნაწილის დაუცხრომელ წინააღმდეგობის გამო პრინცი ეინუდ-დოულე შაჰს სთხოვს, რომ სამსახურიდან დაითხოვოს. შაჰმა მეჯლისის თავმჯდომარე სასახლეში მიიწვია. დემოკრატთა ლიდერმა სულეიმან მირზამ დეპუტატებს გამოუცხადა, კაბინეთი უსათუოდ გამოიცვლებაო. დემოკრატებს ზომიერები მიემხრნენ. სამთა შეთანხმების მოწინააღმდეგე პარტიათა საერთო კანდიდატად მუსტაფა-ულ-მემალეკ-ს ასახელებენ, რომელსაც ზურგს უმაგრებენ გერმანიის და ოსმალეთის წარმომადგენლები.

**რომი,** 21 ივნისი. გერმანელთა წყალქვეშას მიერ იტალიის იალქნიან გემის დაღუპვა და მეზღვაურთა დახოცვა საშინელ აღელვებას იწვევს იტალიაში. „მესაჯერო“ სწერს: „ჩვენ არ ვიცით რა საშუალებებით იმოქმედებს ჩვენი მთავრობა ბერლინზე ასეთ ცინიკურ-ბარბაროსულ საქციელისთვის, მაგრამ ჩვენ ის ვიცით, რომ მთელი იტალია აღშფოთდება და მოითხოვს შურისძიებას ასეთ ბოროტგანზრახვისთვისაო.

**თეირანი,** 21 ივნისი. ეინუდ-დოულეს კაბინეტის გადადგომა მიღებულია. კაბინეტის შედგენა მუსტაფა-ულ-მემალეკ-ს მიენდო. კაბინეთში მოსალოდნელია შევიდნენ ალაუს-სალტანი, სანსამუს-სალტანი და საიბ-იხტიარი. ეინუდ-დოულეს წინააღმდეგ მიმართულ ინტრიგებმა დასცა კაბინეტი.

**პარიზი,** 21 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: ერთი დეპუტატის შეკითხვაზე შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა: რადგანაც საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრი აღელვებულია იმით, რომ პარიზში აუარებელი რუსის ახალგაზდა იმყოფება, რომლებიც არ ასრულებენ თავის მოვალეობას სამხედრო ბეგარისა, მან საჭიროდ სცნო მოაგონოს ამ ახალგაზრდათ, რომ მათ დახმარებას გაუწევენ ან სამშობლოში დასაბრუნებლად, ან კიდევ საფრანგეთის ჯარში შესასვლელად. მინისტრმა ისიც დაუმატა, რომ არაფერი იძულებითი საშუალებანი არ არ იქნება მათ წინააღმდეგ მიღებული. საფრანგეთის ჯარში ჩაწერილი რუსის ოჯახები ისარგებლებენ იმავე შეღავათით და პრივილეგიით, რითაც ფრანგის ოჯახები სარგებლობენ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ასკვიტის შვილის დაჭრა.**

როგორც „ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ, ინგლისის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შვილი ასკვიტი შრაპნელით დაჭრილა სახეში.

**ვილჰელმი ნათლის მამა.**

გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოუცხადა მცხოვრებთ, რომ ვილჰელმს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურს ყოველ გერმანელის მეშვიდე შვილის ნათლია გახდესო.

**ბულგარეთი და რუმინია.**

„რუსკ. სლ.“ პეტროგრადიდან ატყობინებენ, რომ რუმინიამ ავსტრიას მიჰყიდა ბენზინი და ნაცვლად სამხედრო სურსათი მიიღო, ხოლო ბულგარეთმა ოსმალებს მიჰყიდა ხორბალი და ზარბაზნები.

**ახალ ქვეშევრდომებს აღარ იღებენ რუსეთში.**

მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შეჩერებულია რუსეთის ქვეშევრდომობის მიღება—სლავიანელებისათვისაც კი.

**ბულგარელები აფიცრებს იწვევენ.**

შვეიცარიაში მცხოვრებ ბულგარელ სათადარიგო აფიცრებმა ბრძანება მიიღეს, დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნდნენ. ბერლინიდან მოსულ წყაროების მიხედვით, ბულგარეთი რაღაც მოულოდნელ რამეს აპირებსო.

**გერმანიის იმედები.**

გაზეთი „Rachspost“ იმედს გამოსთქვამს, იტალიის ინტერესების დაპირისპირება საბერძნეთ-სერბიის ინტერესებთან ორთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის უსაოუოდ აყალმაყალს გამოიწვევსო.

**ბულგარეთის სამზადისი.**

ბერლინის წყაროების მიხედვით, ბულგარეთი გაბედულ ნაბიჯის გადადგმას აპირებს. სოფიის მთავრობამ პრესას გამოუცხადა, რომ საჭიროა ეროვნული ერთობა.

**გერმანელების მუქარა.**

რადომზე გადაფრენის დროს გერმანელ მფრინავებს პროკლამაციები ჩამოუყრიათ, სადაც ნათქვამია, უკეთუ მამაკაცები ქალაქს დასტოვებენ, ტყვედ წავიყვანთ ყველა ქალებს 14 წლიდან 32 წლამდეო,

**გუჩკოვის დანიშვნა.**

ოქტომბრისტების ცნობილ ბელადს ალექსანდრე გუჩკოვს თურმე სამხედრო მინისტრის თანაშემწედ ნიშნავენ.

**ავსტრიელ ერცჰერცოგთა ყრილობა.**

როგორც „ბირჟ. ვედომ.“ ტორნოდან ატყობინებენ, იტალიის ფრონტზე ავსტრიელ ერცჰერცოგთა ყრილობა მომხდარა. პირველად ჩამოსულა ტახტის მემკვიდრე კარლ-ფრანც იოსები, შემდეგ ერცჰერცოგი ალბერტი, და ბოლოს ერცჰერცოგი ფრანც ქალვატორი.

**გერმანიის სოციალდემოკრატია.**

როგორც „ბირჟ. ვედ.“ ატყობინებენ, დღევანდელ ომის გამო გერმანიის სოციალდემოკრატია ოთხ ნაწილად გაყოფილა. პირველს უწოდებენ მარჯვენა ცენტრს და მეთაურობს ცნობილი დეპუტატი შეიდემანი, მეორეს—მარცხენა ცენტრს მეთაურობენ კაუცკი და ბერშტეინი, მესამეს—შეურიგებელთა ფრაქციას მეთაურობენ ლიბკნეხტი, მერინგი და ლედებური,—მეოთხეს—ანნექსიონისტებს მეთაურობს რეიხსტაგის დეპუტატი ჰეინე. დიდი ბრძოლა სწარმოებს მესამე და მეოთხე ჯგუფთა შორის. ლიბკნეხტი და მისი მიმდევრები დღევანდელ ომში მხოლოდ დაპყრობით პოლიტიკას ხედავენ, რომელიც გერმანიის იმპერიალისტურ ლტოლვილებით არის გამოწვეული. არც კაუცკის და შეიდემანის მიმდევრები უარჰყოფენ ომის იმპერიალისტურ ხასიათს, ანექსიონისტები კი, როგორც „Volkswacht“ სწერს, ნაციონალ-ლიბერალებიდან არაფრით არ განსხვავდებიან, ისინი მოითხოვენ „გერმანელთა მიერ დაპყრობილ ადგილების დაუყონებლივ ანექსიას“.

**ლიუბლინის გუბერნიაში**

ლიუბლინის გუბერნიის სამხრეთ ნაწილში ცეცხლმა გაანადგურა მთელი სოფლები. ბელგორაისკის მაზრაში გადაიწვა კრჟეშოვი და დზიანი. 200 სახლებიდან მხოლოდ 8 გადაურჩა ცეცხლს. მცხოვრებნი გაიხიზნენ მეზობელ სოფლებში. სოფ. პოდგურჟეში შენობები სრულიად გადაიწვა. ჯეჯილი ბევრს ადგილას განადგურებულია. კვირაზე მეტია რაც ხურდა ფული არ მოიპოვება ლიუბლინში.

**რუსები საფრანგეთში.**

ამას წინად საფრანგეთმა განკარგულება მოახდინა, რომ იქ მყოფი რუსები საომარ ველზე გაიყვანონ. ამის შესახებ სოციალისტური გაზეთი „ჰუმანიტე“ სწერს: „პოლიციის ზომებს, რომ რუსები აიძულონ ფრანგთა ჯარების გვერდით გაიყვანონ ბრძოლის ველზე, მხოლოდ ზნეობრივი გავლენის ხასიათი აქვსო. რუსებს არ ვაიძულებთ უცხოელთა ლეგიონებში ჩაეწერონონ, ოღონდ ნებას მივცემთ სურვილისამებრ ესა თუ ის პოლკი აირჩიონო“.

# გამოჭმული კვერცხი

ჩვენმა მოწინავე წერილმა ქართულ ტერიტორიალურ კრიზისის შესახებ ქართველთა სოციალისტთა ბანაკები აალელვა და საპასუხო წერილები გამოიწვია.

მოწინააღმდეგეებმა მოკლედ მოგვიჭრეს, რომ ჩვენი საყვედური ქართველ სოციალისტებისადმი, ვითომ იმათ მტრობა გაეწიოთ ქართულ მიწა-წყლის დაცვის საქმისთვის,—სიყალბეაო. რასაკვირველია, ასეთი მოკლე პასუხი მოსალოდნელი იყო, მაგრამ არა ასე გაბედულად და მოურიდებლად.

ქართველ სოციალისტურ პარტიების ისტორია არც ისე შორეულია, რომ მეხსიერებიდან წაგვეშალოს მათი ახლო წარსულის მოღვაწეობა. ეს წარსული ათი წლით გაიზომება და მან ნათლად გაგვიარა თვალწინ, ამიტომ შეუძლებელია შავი-თეთრად მოგვჩვენებოდა. თუ ხსენებული პასუხები ნიშნავს დახევას „ახალ პოზიციებისაკენ“ ქართულ-აგრარულ და საერთო ეროვნულ ტერიტორიალურ კრიზისის შესუსტებისათვის და გულწრფელი სურვილია ერის სახიფათო მდგომარეობიდან გამოყვანისა, მაშინ ჩვენ გავჩუმდებით. პირიქით, მიულოცავთ და დავულოცავთ ახალ და კეთილ გზასა. მაგრამ ამას, ცოტა არ იყოს, ვეჭვობთ, და უფრო კი დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ძველად-ძველი ჟინია ქართველ სოციალისტებისა კვლავ თავისთავის ქვეყნის მარილად გამოცხადებისა, წარსულ მავნე შეცდომების წაფარება-გამართლების და ასეთივე მოქმედების აწმყოშიაც გაგრძელებისა.

ამ ჩვენს ეჭვებს ნამეტანად „სახალხო ფურცელის“ ჟანრიანი პასუხი ადასტურებს. თუ გვერდს ავუხვევთ „სახალხოელების“ მიერ ნახმარსა და ჩვეულებრივ „შხამიან გაზებს“,—ვითომ ჩვენი ნათქვამი „ხელაღებული ცილისწამებაა“ და ისტერიული ყიჟინი „საქართველოსი“, და ხსენებულ მოკლე პასუხს ჩავუკვირდებით ადვილად შევამჩნევთ მათ ძველ ყალბ პოზიციას ქართულ ეროვნულ-ტერიტორიალურ საკითხში: „არც ერთი ჯგუფი არა იცავს **ქართველებით დასახლებულ მამულის სიმტკიცეს** (ხაზი ჩვენია) ისე, როგორც „სახალხო ფურცელია“,—მოურიდებლად გვიპასუხებენ ამ გაზეთის დღევანდელი მესვეურნი. გავუსინჯოთ კბილები ამ გადმოსროლილ ფრაზას. რას ნიშნავს—„**ქართველებით დასახლებული მამულის დაცვა**“? ხანგრძლივ გამოცდილებით ვიცით, რომ „სახალხო ფურცლის“ ლექსიკონით ეს ნიშნავს—„დაცვას“ ქართულ მიწის მფლობელობისას ქართველებით გავსილ იმერეთისა, ქართლის შუა გულისა, შიგნით კახეთისა, ე. ი. იმ ადგილებისა, სადაც არავითარი დაცვა ქართულ მიწის მფლობელობისა საჭირო არ არის. პირიქით, საიდანაც ქართველობა ნელ-ნელა იდევნება და ჩვენ თვალწინ ნაძალადევად განდევნილია კიდეც, და სადაც მართლა საჭიროა ჩვენი მიწის მფლობელობის უფლების დაცვა-აღდგენა იმ ადგილებზედ, იქ „სახალხოელნი“ ხელს იღებენ და განზე დგებიან. მაგალითად: შავი ზღვის ნაპირებზედ, ახალციხისა, ახალქალაქისა, ბორჩალოსა და თბილისის მაზრებზედ ქ. თბილისითურთ, საიდანაც კაი ხანია ქართველობა სისტემატიურად იდევნება და ეხლა უკვე უმცირესობას შეადგენს. ეს კი ქართულ მიწის მფლობელობის დაცვას კი არ ნიშნავს, არამედ დაცვას სოციალისტურ ფორმულისას: „რეალურ მოსახლეობის“ პრინციპის განმტკიცებას, რომელიც „სახალხოელების“ ჯგუფის მიერ კიდეც აღიარებულია და ბეჭედ დაკრული. ამ რიგად ეს ჯგუფი „იცავს“ არა საქართველოს ეროვნულ ტერიტორიას საქართველოსთვის საჭირო საზღვრებში, არამედ „ქართველების მოსახლეობას“. ასე მაგალითად, თუ ხვალ ქართლში ნაძალადევად უცხოელები შემოგვირეკეს და დაგვისახლეს, ქართველები კი გარეკეს, „სახალხოელნი“ ამ პროვინციაზედაც ხელს აიღებენ, რადგანაც იქ ქართველები ან აღარ იქნებიან, ან თვალსაჩინოდ შემცირდებიან. წინააღმდეგობის გაწევასაც არ იკადრებენ, რადგანაც მაშინ სოციალიზმი მოსთხოვს „შინაგან სოციალურ მოწესრიგებამდის“ დაცდას. ასე და ამ რიგად, როდესაც მრავალი მტრის ტალღები დაჟინებით გვაწვებიან, წარმოიდგინეთ ეხლა ასეთ „ეროვნულ პოლიტიკურ“ გეგმის ფასი სამშობლო მიწა-წყლის დაცვის საქმეში! ეს დაცვის გეგმა კი არ გახლავთ, არამედ გეგმა პასსიურად ყველგან უკან დაწევისა, წაგებისა და საქართველოს ტერიტორიის სრული დაკარგვისა. სიტყვა „დაცვა“ ქართულ მიწისა სრულიად არ შეეგუება „სახალხოელების მოღვაწეობასაც. მიწას იცავს ის, ვინც მესაკუთრის ინსტიკტით არის გაჟღენთილი და ამ საქმეში ბელადობს ის, ვინც ამას პირახდილად აღვიარებს და ბრძოლაში ამ დროშით წინ მიუძღვის ერსა. უნდა ვკითხოთ „სახალხოს“:

[...]ლით თქვენი ათი წლის მოღვაწეობა, [...] ფურცელი, გინდ ის თქვენი ჯგუფი[...] გამოცემანი, რომლისკენაც მიგვითითებ[თ] და პატეტიურად ბრძანებთ: „მოიგონ[ეთ] ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი წერილებ[ი] და მიხედეთ ვინც ყოველთვის თავგა[მო]დებით იცავდა ტერიტორიის საკი[თ]ხს“-ო.

რას და როგორ იცავდით? აი რა არის საკითხავი: თუ ტირილით ან ილანძღ[ვა]-გინებით, ასეთი „დაცვა“ ხომ „პოლიტიკურ პარტიისთვის“ უსუსურობად უნდა ჩაითვლებოდეს. საქმით კი? „რეალურ მოსახლეობის“ ან თქვენ კარგად იცოდით, რომ ქართულ ტერიტორიალურ კრიზისის შესუსტება განსაკუთრებით ქართველ მკვიდელ გლეხკაცობის ხელშია? „რაკი“ კითხეთ თქვენ გამოცემებში, ამ ათის წლის განმავლობაში ერთი დაბეჭდილი მოწოდება გლეხკაცობისადმი, მამულის შეძენის აუცილებელ საჭიროებაზედ?

ჩვენ გვინდა არა ვაების წერილი შემთხვევით შემოსულ მწერლისა, არამედ თქვენი ჯგუფის გარდაწყვეტილებისა და მის მიერ შემუშავებულისა. ამას ვერ წაგვიკითხავთ ვერც დღეს და ვერც ხვალ. ამას ვერც დავეყუდროთ, ულოლიკობას ვერ გიკიჟინებთ, რადგან თქვენ სოციალიზმს კუდში მისდევდით და ვერც შეამჩნიეთ, რომ თქვენ და ქართულ ცხოვრების შორის უკიდურესი ულოლობა ჩამოვარდა.

ნამეტნავად ასეთი ულოლიკობა ემჩნევა თქვენ მოღვაწეობისა და ქართულ აგრარულ საკითხის სწორ გადაწყვეტის შორის. ეს პირახდილათ უნდა აღიაროთ თუ მართლაც „ბატონობის“ ჟინი არ გძევთ დ ეს უკანასკნელ სიმართლეს ხელს არ წაგაფარებინებთ.

ასეთ პასუხსაგებ დროს, ასეთ განცდის დღეებში, ასეთ „პოლიტიკურ გეგმებით“ მოღვაწეობა და მით უფრო „ქვეყნის ბატონობის“ მსურველობა—დიდი შეცდომაა და დანაშაული ქართულ ეროვნულ ნამდვილ ინტერესების წინაშე. თქვენი „ბატონობის“ შეცდომებისაგან ქვეყანამ ამ ათი წლის განმავლობაში საკმაოდ იზარალა. და დღეს თქვენმა შეცდომებმა შეიძლება თავიც მოსჭრას ერსა. ამიტომ უფრო დიდ მამულიშვილობას გამოიჩენთ თუ მოკლე პასუხების წერას თავს განებებთ, გულწრფელად

# მოსე თოიძის მხატვრობის გამოფენა

I.

ერთმა უცნობმა ფრანგმა ეპიგრამისტმა სთქვა: ადამიანთა ბედი ის არის, რომ მრავალს იწვევენ და ცოტას ირჩევენ, ხოლო წიგნების ბედი ის გახლავთ, რომ მრავალს ჰფურცლიან და ნაკლებს კითხულობენო. სრული ჭეშმარიტებაა. ვგონებ უკამათო აფორიზმი წარმოიშვება, თუ მას გავაზოგადებთ და მხატვართა ბედსაც მივუმატებთ: **მრავალ სურათს ვათვალიერებთ და ცოტასა ვხედავთ.** რომ მხატვრობაში ბევრი დავინახოთ, ამისათვის საჭიროა გვესმოდეს მხატვრობის ენა. ეს კი ადვილი საქმე არ გახლავსთ. ჩვეულებრივი მნახველი რო არა ვსთქვათ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ არიან მრავალნი ხელოვნების მოტრფიალენი, რომელთაც მხატვრობისა არც არა ესმით რა და არც სურთ რამ მისი გაიგონ. ეს გემოს საკითხია, როგორც ამბობენ ხოლმე. არც თუ მხატვრულ ნაწარმოების ახსნა-გაგებაა ადვილი. მხატვართა შორისაც კი ბევრნი არიან ისეთნი, რომელთაც საკუთარ ნაწარმოების ახსნა-განმარტება უჭირდებათ. ასეთი მაგალითები პირადად ბევრი შემხვედრია. ეს ჰხდება მაშინ, როცა მხატვარი მართლა შემოქმედების ტალღას გაუტაცია, რის წინაშეც მხატვარი იგი „შიშითა ღვთისათა“ ძრწის და როდის როდის მოჰკიდებს ხოლმე ხელს კალამს, რომ საიდუმლოს აჰხადოს ფარდა და უცნაურ ძალთა ნაკარნახევი ცნაურებანი ფერადებით აჰხატოს ტილოზე. ამიტომ კრიტიკოსი უფრო ნახატს მიჰმართავს, ვიდრე თვით მხატვარს. იგი სცდილობს მხატვრობის კომპოზიციაში ამოიცნოს მხატვრის განცდისა და ნაფიქრალის ფაქტორთა იერარქია. მაგრამ არც ეს საქმეა ადვილი. მოგეხსენებათ, რომ თვითეული ნაწარმოები დროს მიხედვით ჩვეულებათა ნაკადულს მისდევს. როგორსაც მიეჩვევა საზოგადოება, მხატვარიც ისეთ ფაქტორებს მიჰმართავს. მაგრამ საკმარისია მხატვარი გაჰშორდეს ჩვეულებრივ მიმდინარეობას, რომ მის ნაწარმოებმა დაჰკარგოს ფორმა და ღირებულება, როგორც ეს მოსდით ზოგიერთა ზღვის ცხოველსა თუ მცენარეს, რომელნიც ხმელზე ამოღების უმალ სახიერებას ჰკარგვენ და იშლებიან.

საბედნიეროდ თოიძის მხატვრობანი მნახველის თვალში არ ჰკარგავენ ღირებულებას. იქნებ ეს იმითაც აიხსნება, რომ მხატვარში ჯერ კიდევ ბრძოლა ჰხდება ძველსა და ახალის სკოლის შუა, მასში ჯერ არ მომხდარა სრული განთავისუფლება, მისი ორიგინალური შემოქმედება ჯერ-ჯერობით მიმდინარეობის ტალღებს მისდევს, ჩვენთანაა დაკავშირებული, თუმც ზვირთებზე ამჩნევთ მის კეკლუც თამაშს, რომ მალე, რაც შეიძლება მალე თავისუფალ სივრცეში გაჰკრას ფრთა.

საინტერესოა თვით ამ ბრძოლის პროცესი. რაც რომ შორდება ძველს სკოლას, იმდენად უფრო მიმზიდველი ჰხდება მისი ნაწარმოები, როგორც ფერადებით, ისე კონტურების ფართე მოსმით და ფანტაზიის სიძლიერით. ცქრიალა, მუდამ ნათელი, ფერთა ტონების მხიარული მუსიკა უნებლიედ გულს გილაღებთ, ერთგვარ სისუმბუქეს გაგრძნობინებთ, გასვენებთ. მართალია, სურათთა მეტი წილი მინიატურულია, ხშირად დაუსრულებელი, ესკიზის სახისა, მაგრამ ეს როდი გვიშლის რომ მის მოხაზულებით არ დავსტკბეთ, ან იდეის გამსახიერებელ ფერადებმა თავიანთი სიკეკლუცე არ დაგვანახონ. აქ თქვენ ჰხედავთ ჩვენი ბუნების დიად ნაკვთებს, თვალ-წარმტაც პეისაჟებს, ტყეს, ჩრდილოვან ნაკადულებს, აუარებელ ესკიზებს, წყაროს პირად, მდელოზე, ზღვის პირად. აქვე ნახავთ დიად მზის ამოსვლას, მის სისხლისფერ სხივთა მოწყვეტას და მიფარებას დასვლის დროს... არა ნაკლებ გვინტერესებენ ჩვენი ყოფა-ცხოვრების სურათები, ტიპები, ანუ ძველი ქალაქის წარმოდგენა, სადაც მხატვრის ინტუიციას საუცხოვოდ აღუდგენია იგი მეტად მარტივი და ცხოველი მკვეთრი ფერადებით.

მაგრამ ის, რაც პირადად მხიბლავს მე, ეს გახლავთ ჩვენი მხატვრის მარადიულ კითხვათა ძიება, ფილოსოფიური ტემები, სადაც შემოქმედების ფანტაზია ლაღია და ფრთა ნაცქვეტი, ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრების ნაკვთთა სახიერებაში. უეჭველია, მიხვდებით, რომელ სურათზეც ვლაპარაკობ; ეს გახლავთ „გარდაქმნის ტკივილები“ (№ 3). ეს გრანდიოზული სურათია იმდენად მოხაზულობით არა, რამდენათაც შინაარსით. თქვენ აქ თვალწინ გეშლებათ ძველის ძველი კულტურა, რომელიც ბარბაროსთა შემოსევას ნანგრევებად და უქცევია. გადატეხილი ობელისკები, გაგმირული რაინდი, მისი მერანი ერთურთში არეულან. ქაოტიურ სანახაობის წინა პლანზე ჰხედავთ მხატვრის გულგაგმირულ მუზას. თვით მხატვარი კი ნანგრევებზე ჰზის და მტანჯველ ფიქრებს წარუტაცნია. აქ იწყება უკვე შემოქმედების პროცესი. მუზის მარჯვენა ხელთან უკვე აღდგენილია ძველი კულტურის მოზაიკური ნაშთი. მაგრამ ბრძოლა შემოქმედებისა რამდენადაც ცხოვლდება, იმდენად ძლიერდება თვით მხატვრის ტანჯვაც, რაიც ასე აშკარად სჩანს მის მოღუშულს ბეჭებზე. სწორედ ამ ტანჯვა-გაწამებამ უნდა წარმოშვას სანუკვარი მშვენიერება — **განახლება.** ღრუბლებში ნათელი გამოჩნდება. დააკვირდით ამ ცხოველმყოფელ შუქს. თქვენ შენიშნავთ შემოქმედების უხილავ ღვთაებას, რომელიც მხატვარს ფიქრთა ზღვაზე კეკლუცი ხომალდით გამოუქროლებს ახალ შენობის ჰაეროვან გეგმას. ესაა ჩვენი მხატვრის ჯანსაღი ოპტიმიზმის სიმკვირცხლე, რომ ფერთა თამაშით გვაჩვენოს ვერცხლის რგოლსავით გადაჭდობილი მარადიული პროცესი ნგრევა-შენებისა, ვით სიკვდილ-სიცოცხლის დაუსრულებელი ბრძოლა.

როგორც ჰხედავთ, შინაარსი ფრიად გრანდიოზულია, სერიოზული და სწორედ ეს გრანდიოზობა უნდა იყოს მიზეზი, რომ მხატვრის დიადი ყურადღება მიუპყრია, შეიძლება ზედმეტი ყურადღებაც, რომ სურათს, როგორც ამას ხშირადა ვხედავთ პსიხოლოგიურ მოვლენათა შორის, დაჰკარგვია ჭეშმარიტი სერიოზობა. საბოლოოდ სურათში მაინც არ არის ის, რასაც ნაფიქრალი იდეა გვპირდება, თითქოს აქ სწორია ფერთა ტონები, ჩრდილი, მაგრამ სისრულემდინ ჯერ კიდევ შორსა ვართ, დიახ, შორს, რომ სურათმა მჭვრეტელს ნელ-ნელ აღუძრას შიში ბარბაროსობის შეგნებაზე და აღტაცება ახლად შობილის მოვლენაზე, რაიც უფრო მეტი სიცხოვლით უნდა მოსჩანდეს „გარდაქმნის პროცესში“ გაცურებულ მხატვრის ნერვიულ მოხაზულობაში. ვფიქრობთ, მოდელად ამ დიად იდეიას ისევ პატარა ესკიზი გაუწევდა „გარდაქმნისა“ (№ 30), სადაც ქვეყნის ბარბაროსობას ერთვის ბუნების განრისხებული გამოლაშქრება. აქ უფრო, ვიდრე ზემოდ აღწერილ სურათში, ნათლად სჩანს სენტიმენტალურ ფანტაზიის შემაძრწუნებელი, მაგრამ იმავე დროს ფრიად ლაღი და მომხიბვლელი მუსიკის ენა.

სულ სხვა სახით და მოხაზულობით წარმოგვიდგინა ჩვენმა მხატვარმა პასტელით ნახატი არა ნაკლებ გრანდიოზულ შინაარსიანი სავსებით დასრულებული სურათი „მესაიდუმლე“ (№ 11). აქ მხატვარმა სრული სიმფონია შეჰქმნა დიად შინაარსისა და ტეხნიკურ გამოხატულების შუა. აქ ჩვენ ვხედავთ მხატვრის საკოლორიტო იდეალს, ყველა ფორმათა ნაზს მოხაზულობას, ნაზი და ჰაეროვანი ფერების ცურაობას, რაიც ასე რიგად საჭიროა ფილოსოფიურ იდეათა გამოსახატავად, რომ ფორმათა მკვეთრი პლასტიკა ფერთა სუმბუქ [...] ხამებაში გამოიხატოს. თქვენს წინ [...] ისფერი, უფსკრულია. მხატვარი [...] გადაჭყურებს. უფსკრული განსახიერებაა ბუნების გამოუთქმელი ენერგიისა, რომელიც თვისი წიაღიდან აღმოხეთქს სიცოცხლის ისეთ ყვავილს, როგორიც მზის სხივად მოცეკვე გამჭვირვალე [...] ჩქეფ მოსილი მოკისკის ეთერი [...] ხლავთ. ეს ქალწული, ნახევრად შიშველი, ნახევრად ლეჩაქ-ყვავილებით მორთული, მხატვრის შემუსვრილ ფიქრს უკანიდან ეალერსება. მის სახეზე აღბეჭდილია მიმზიდველი სიკეკლუცის [...] ტაცება, ნაზი მედიდურება, რომლის ვარდისფერ ტუჩებზე მომხიბვლელი ღიმილი ყაყაჩოს ჰაეროვნებით დაჰკრთის. ქალწულის სიხარულს სადღესასწაულო ჰიმნს უგალობს მზის სხივებით გაბრწყინებული ჩვენი ბუნების ფიორდები, თოვლით ნალესი გრეხილი ამაყი კავკასიონისა, რაიც მოცეკვე ქალწულთან ერთად მხატვარს იწვევს სადღაც უცნობ და მიუწდომელ მსწრაფებათა სამარადისო სარბიელისკენ. იციხის ბუნება, კისკისებს ქალწულიც და ამ ფიქრთა [...]რეულ მესაიდუმლე მხატვარს უხილავ სახით თავზე აბერტყავს თვის ჯადოსნურ ყულსაბამის მოციმციმე [...] მარგალიტსა, ალმასის ციალა [...]ლებს, მზის ცეცხლის ალსა! ამ [...]ზის სამოსელში გამოკვეთილ [...] შთაჰბერავს მას ვაჟკაცობას და [...] ძლიერეს, სიცხოველეს და იმედს, [...] საბოლოოდ იგი მიაგნებს გამოუცნობ [...] გახდება შემოქმედი, სულთა სამეფო[ს] მბრძნებული, თვითი სიცოცხლის [...] პოეზიის დაუშრეტელი ჭურჭელი, [...] აიღოს პალიტრა, აიღოს კალამი [...] ცნაურებათა ჩურჩულის თანხმად მოგ[...]ცეს მოდელი საძიებელს სახებისა...

(შემდეგი იქნება).

დ. კასრაძე.

და გაბედულად გადასინჯავთ თქვენს გეგმას, აღმოაჩენთ მის დანაკლისს და შეუფარდებთ მას ერის საჭიროებას, რადგანაც დღეს საჭიროა ერის მოთხოვნილებათა დაცვა და არა უძირო და უნიადაგო ვიწრო პარტიული დოქტრინებისა. „ბატონობით“ კი ნუ ირთობთ თავსა.

ეს შემთხვევითაა მოსული და ასევე გაჰქრება.

სცადეთ და პლებესციტი მოახდინეთ გინდ მარტო თქვენი გაზეთის მკითხველთა შორის და მაშინ დარწმუნდებით, რომ „სახალხო“ ფურცლის“ პაწია ჯგუფის იდეური ბატონობა გამოჭმული კვერცხია.

დ. კახელი.

# სამშობლოს სიყვარული

(ინდივიდური აზრი)

I.

პიროვნებას აქვს ერთგვარი ვალდებულება, რომელიც აკავშირებს მას ჯერ საკუთარ საზოგადოებასთან, მერე საკუთარ სახელმწიფოსთან, შემდეგ—გარეშე სახელმწიფოსთან და დასასრულ—კაცობრიობასთან. დასაწყისშივე უნდა ითქვას, რომ მეტად იშვიათია და მავნე **მოუფიქრებელი** კოსმოპოლიტიზმი, რადგანაც—ჩვენის ღრმა რწმენით, უპირველეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვიყოთ ჯერ ნამდვილი პატრიოტი და მხოლოდ შემდეგ შეგვიძლიან გავხდეთ მოქალაქე კაცობრიობისა. აუარებელი მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ისეთი პიროვნება, რომელსაც ჰგონია თითქოს საკაცობრიო იდეალები ჩრდილავდეს მის ეროვნულ იდეალებს, მავნებელია თვით კაცობრიობისათვის. პიროვნება, რომელსაც არ შეუძლიან რომელიმე განსაზღრულ ქვეყნის მოქალაქე იყოს, თითქოს იმიტომ რომ ის მთელ კაცობრიობის მოქალაქეა, მავნე მეტხორცია, რადგანაც მას არ ძალუძს არც ცხოვრება და არც ვისთვისმე სარგებლობის მოტანა,—ასეთი პიროვნება თავის ადგილს ვერ ჰპოულობს ისტორიაში, და არასფერს ჰქმნის მისთვის. გამოურკვეველი მომავალი ცვალებადია, ცვალებადია მორალური იდეალი და მორალური მოთხოვნილებაც, მაგრამ ის სცდება, ვინც რწმენით უყურებს პიროვნებას, რომელიც ინდიფერენტულად უყურებს საკუთარს და უცხო ქვეყანას. რაც უნდა ღრმა და ძლიერი იყოს საკაცობრიო იდეალი, რაც უნდა ინტენსიური იყოს ადამიანის აქტივობა, ყოვლად წარმოუდგენელია, რომ პიროვნებას სამშობლოს სიყვარულის ატროფია მოუვიდეს.

ამით, რასაკვირველია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა თითქოს გარეშე საკუთარ სამშობლოსი პიროვნებას არ შეეძლოს „სიკეთის“ თესვა. ჩვენის წარმოდგენით საკუთარ ოჯახის მოყვარული ადამიანი უფრო თავაზიანია თავის **კარგ** მეზობელთან, ვიდრე ის ადამიანი, რომელსაც საკუთარი ოჯახი სძულს; აგრეთვე საკაცობრიო ოჯახის თავაზიან წევრად ის ერი უნდა ჩავთვალოთ, რომელიც მეტის პატრიოტიზმით არის გამსჭვალული. ყალბია ის აზრი თითქოს პატრიოტიზმი უარჰყოფდეს სხვა ერების პატივისცემას და სიყვარულს; ნამდვილი პატრიოტიზმი მოითხოვს პიროვნებისაგან, რომ იგი მუდამ დარაჯად ედგას თავის ერს, არ დააჩაგვრინოს ის სხვას და იმას სხვა. არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ აზრს, თითქოს ეროვნული მორალი განსხვავდებოდეს პიროვნების მორალისაგან, არც იმას თითქოს რომელიმე მაღალ პლატფორმიდან ნასროლი დაპირება განსხვავდებოდეს ჩვეულებრივ ცხოვრებაში სასარგებლო დაპირებისგან.

სამწუხაროდ არ გვჯერა ისიც, თითქო ვინმეს საკაცობრიო ცხოვრებისთვის მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოს ვიდრე საკუთარ ეროვნულ ცხოვრებისთვის. როდესაც პრაქტიკულ ცხოვრებაში ვახორციელებთ ამ ორ იდეას, დიდი განსხვავება და წინააღმდეგობა იბადება. ჩვენ ვლაპარაკობთ ხოლმე შესახებ „საკაცობრიო კანონისა“, მაგრამ საკაცობრიო კანონი ძლიერ განსხვავდება კერძო და ეროვნულ კანონისაგან,—თავი და თავი განსხვავება ის არის რომ უკანასკნელისთვის არსებობს სანქცია, მაშინ როდესაც პირველს ეს არ მოეპოება; გარდა ამისა, არსებობს ძალა, რომელიც აიძულებს პიროვნებას დაემორჩილოს და შეასრულოს ერთი და უარჰყოს მეორე. საერთაშორისო კანონი დროის მიხედვით, შთამომავლობათა ცვლილებით შეიქმნება ძლიერი და შეჰქმნის ძალას, რომელიც პატივისცემას და კანონის შესრულებას უზრუნველჰყოფს. მაგრამ ეს კანონი გამოჩეკის პირველ საფეხურში იმყოფება.

რაც შეეხება აწმყოს, ყველა ერი ვალდებულია, იძულებულია უკეთ რომ ვთქვათ, თვითონ გადასჭრას საკუთარ სულიერ და ეკონომიურ სიძლიერის მიხედვით მეზობელთა შორის დამოკიდებულება. მაგრამ აქ ამ შემთხვევაში სასურველია ერის პოლიტიკური მოღვაწეები მეტის ყურადღებით, მეტის კაცთმოყვარეობით ალიჭურონ და აამცდინონ ქვეყანას საერთაშორისო, ან ორ ერთა შორის ომი. ყოველი პოლიტიკური მოღვაწე ვალდებულია ხელმძღვანელობა გაუწიოს ერს მზგავს შემთხვევაში და ეცადოს ყოველი ღონე იღონოს თავის ერმა ზიანი არ მიაყენოს სხვა **თავაზიან** ერს. მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც ერთი ერი, როგორც ხანდისხან უხეირო პიროვნება, მოსვენებას არ აძლევს თავის მეზობელს და ცდილობს ყოველნაირი საშვალებით მის მოსპობას და განადგურებას. ამ შემთხვევაში საერთაშორისო კანონის მოლოდინში სულს ვერ ამოიხდის შეურაცხყოფილი და დაჩაგრული ერი, და აი, უკვე ომის მიზეზი მზად არის. ჩვენ მშვიდობიანობის მომხრე ვართ ყოველთვის, მაგრამ თუ მშვიდობიანობას და სიმართლეს ჩხუბი მოუვიდათ, ჩვენ დავგმობთ იმ პიროვნებას, რომელიც სიმართლეს გვერდში არ ამოუდგება.

ე. ალშიბაია.

# ნუ თუ?

თუ დღევანდელ რუსეთის ცხოვრებას ყურს ათხოვებთ, თქვენ სმენამდის ერთ დიდ ამბავის ხმაურობა მოაღწევს.

მთელი რუსეთის ხალხი ამოძრავდა. გლეხი, მღვდელი, ინტელიგენტი, მოხელე.—ყველა გამოდის საერო სამოღვაწეო ასპარეზზედ, ყველა აწყობს და შლის თავის მუშაობას.

ასეთ საერთო მუშაობას რუსეთი დღეს მეტად საჭიროებს. იმპერია განცდის დღეებშია. ეს იგრძნო თვით მთავრობამაც და ეხლა იწვევს ყოველ შემძლე კაცს თავისუფალ საერო მუშაობისათვის.

და ამ მუშაობის სათავეში მთავრობა უპირველეს ყოვლისა რუსეთის საერობო ორგანიზაციას უყენებს.

დღემდის საერობო ორგანიზაციამ რუსეთს დიდი სამსახური გაუწია. მაგრამ მაინც ამ განწირვის დღეებშიაც კი მისი მოღვაწეობა თავისუფლად არ იყო გაშლილი და ვიწრო, შეზღუდულ ფარგლებში მოქმედობდა.

აწყობდა სანიტარულ რაზმებს და დაჭრილებს უვლიდა.

ეხლა კი იგი მოწვეულია, როგორც ერის თავდაცვის საქმის მომწყობი, მას მთელი საერო პრაქტიკული მუშაობა ევალება.

ევალება მომქმედ ჯარის და შინ დარჩენილ ხალხის მოვლა-პატრონობა. პირველს უნდა დამზადება ყოველგვარ სურსათისა, შინ დარჩენილ ხალხს კი მაშველი ხელის გაწოდება, მოწესრიგება მისი სამეურნეო ყოფა-ცხოვრებისა და ომისაგან მოტანილ ზარალის შემცირება და შესუსტება. ამგრიგად იქ, საცა ერობა არსებობს, დღეს ხალხი ამოძრავებულია, და მას ნუგეში და შეძლება ეძლევა თავი დაახწიოს ომის უბედურ შედეგებსა.

აი რა საყურადღებო ამბავი ხდება შორეულ რუსეთში.

გაზეთებმა ის ცნობაც მოგვიტანეს, რომ მთავრობამ პოლონელებს ნება მისცა თავის დარბეულ ქვეყნის საქმის მოსაწესრიგებლად ეროვნულ თათბირების გამართვისა და საერობო ორგანიზაციების მოწყობისა. მაგრამ ჩვენი

განაპირა ქვეყნის შესახებ კი არა ისმის რა.

ასეთი უფლება—საქართველოში ფართო ერობის თვითმართველობის შემოღების უფლება იქნება.

ასეთ გაჭირვებულ დროს, როდესაც ქვეყანა მშიერია, ქვეყანა დაობლებულია, ქვეყანა მოუწყობელია—ნუ თუ დიადი რუსეთი მიივიწყებს პატარა ქართველ ერსა, რომლის წარსულ-აწმყოში მსხვერპლსა და ღვაწლსა, რუსეთის იმპერიის წინაშე

ეკალი.

### „საქართველოს“ და „სახალხო ფურცლის“ რედაქტორების დაჯარიმება

**დადგენილება № 62**

1915 წელი 18 ივნისი. მე მთავარ გამგემ კავკასიის სამხედრო ოლქისამ მივიღე რა მხედველობაში, რომ ქართულ გაზეთის „საქართველოს“ რედაქტორმა დაარღვია პირველი მუხლი სავალდებულო დადგენილებისა, გამოცემული 21 აგვისტოს 1914 წელს მათი იმპერატორობის უდიდებულესობის მეფის მოადგილის მიერ, თანახმად კანონთა კრებულის II ტ. მე-25 მუხ. დამატების 1 პუნ., რაიც გამოიხატა 12 ივნისის მეჩვიდმეტე ნომერში დაბეჭდილ წერილში—„ახალი პროექტი“, და ამავე კანონის შენიშვნის დარღვევის გამო „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი, რომელმაც ზემოხსენებული წერილი „საქართველოდან“ გადაბეჭდა, დავადგინე: ორივე რედაქტორი დაჯარიმებულ იქმნეს 250 მანეთით თითო, უკეთუ ფულის გადახდას ვერ შესძლებენ, თვითეული მათგანი დაპატიმრებულ იქმნეს ერთის კვირით.

ხელს აწერს: გენერალ-ლეიტენანტი **ვოლსკი.**

# ახალი ამბავი

✦ **კრება.** ხვალ, საღამოს 8 საათზე, თავად-აზნაურთა საკრებულოში დანიშნულია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის სხდომა. შემდეგშიაც ხსენებული გამგეობის სხდომა ყოველ ხუთშაბათს იქნება.

✦ **დადგენილების წარდგენა.** ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, აცნობა-რა მეფის მოადგილეს ქალაქის საბჭოს დადგენილება 22 ივნისს, სთხოვა მისს ბრწყინვალებას მთელი თბილისის მცხოვრებთა სახელით უქვეშევრდომილესი გრძნობანი განართხოს მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის ფერხთა ქვეშე.

✦ **უვარგისი ხორცი.** მეოთხე ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა დაშკოვმა ოქმი შეუყენა 3-ს ყასაბს იარმუკაში უვარგისი ხორცის გაყიდვისთვის.

✦ **ახალი საავადმყოფო.** ორთაჭალაში, ელბრუსის ქუჩაზე, გაიხსნა ფსიხიატრიული საავადმყოფო.

✦ **ქალაქის გამგეობის** წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი კისლოვოდსკში მიდის დასასვენებლად; მის მაგიერ იმუშავებს გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი.

✦ **კავკასიის ტეხნიკური საზოგადოება** ხსნის საყინულე განყოფილებას.

✦ **უვარგისი ხილი.** მეოთხე ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა დაშკოვმა გუშინ, 23 ივნისს, დიდძალი დამპალი ხილი გადაგააყრევინა იარმუკიდან.

✦ **თბილისის სააგარაკო საზოგადოებამ** მიანდო თავისს წევრს ა. ს. ბაბოვს ხარჯთ-აღრიცხვა შეადგინოს საზოგადოების ცნობათა გამოსაცემად.

✦ **თბილისის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის** ტეხნიკურმა სექციამ უკვე დაამთავრა მისდამი დავალებული სამუშაო. როგორც იმან გამოარკვია, თბილისში შესაძლოა დამზადდეს შრაპნელების ჭიქები, მანძილის მაჩვენებელი მილები და სახელდახელო ყუმბარები.

✦ **შალვა დადიანი სწერს** ახალს ისტორიულ რომანს „ანდერძი“. სიუჟეტი აუღია სააკაძის ცხოვრებიდან.

✦ **რედაქციამ მიიღო** ახლად გამოცემული წიგნი „პედაგოგიური კითხვების გარშემო“, შედგენილი ვ. ჯაფარიძისა და ზედგინიძის მიერ.

✦ **დაჯილდოებულ იქნა** უმაღლესად მეოთხე ხარისხის ვლადიმერით მე-202 ქვეითი გორის პოლკის მღვდელი გერმანე ჯაჯანიძე.

✦ **უმაღლესად დაჯილდოვებულ იქნენ შემდეგი პირნი:** მეორე ხარისხის წმ. ანნით. პოდპოლკოვნიკი თ. დავით ვაჩნაძე. მეოთხე ხარისხის წმ. ანნით. თავად ვალერიან სიდამონოვ—ერისთავი (შტაბს-კაპიტანი). მეორე ხარისხის სტანისლავით პოლკოვნიკი დიდი მთავარი მიხეილი ნიკოლოზის ძე ყაზბეგი. მეოთხე ხარისხის წმ. ანნით, წარწერით „სიმამაცისათვის“ პორუჩიკი გიორგი ქუთათელაძე. წმ. სტანისლავ მეორე ხარისხისა ებოძა კავკასიის სამხედრო ოლქთან არსებულ სამხედრო ისტორიული განყოფილების უმფროსს პოლკოვნიკ სვიმონ ესაძეს, და პოლკოვნიკ გიორგი კვინიტაძეს. მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმერით პოლკოვნიკი გიორგი ფურცელაძე.

✦ **სანოვაგე.** 22 ივნისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 1 ვაგ., სიმინდი 1 ვ., ფხვნილი შაქარი 1 ვ., მარილი 1 ვ., კიტრი 1 ვ., კარაქი 1 ვ., ბალი 2 ვ., ქერი 2 ვ., ბზე 6 ვაგ., შეშა 41 ვაგ., ქვის მარილი 2 ვაგ., ნავთი 2 ვ., სპიჩკა 500 ფ., ყველი 238 ფ., ახალი თევზი 346 ფ., რკინეულობა 480 ფ.

# უზრუნველ ქართველის დღიურიდან

**კიდევ ქალთა სკოლის შესახებ.**

12.

გასულ კვირას ქართულ გიმნაზიის შენობაში დავესწარი მრავალრიცხოვან და მეტად საინტერესო კრებას, რომლის ცხარე საკამათო საგანს შეადგენდა იმავე გიმნაზიასთან არსებულ ქალთა სკოლის რეორგანიზაცია.

აღნიშნული კრება იმით უფრო იყო საინტერესო, რომ ცოცხალი და ფხიზელი ტალღა ჩვენი ახალაზრდობისა გულწრფელური გატაცებით და სამართლიანად მოითხოვდა ქალთა სკოლის გადაკეთებას ისეთ ტიპად, რომელიც შეფარდებული იქნებოდა ცხოვრების თანამედროვე პირობებთან და მშობლიურ ნიადაგზედ აღგვიზრდიდა ჩვენი ოჯახის და საზოგადოების სასარგებლო წევრებს და არა იმ ტიკინებს, რომლებსაც იძლევიან მთავრობის არსებული გიმნაზიები.

თუ გავიხსენებთ ამავე ნიადაგზე დიდად საქებარ და სამაგალითო საქმიანობას ქალთა „განათლების“ საზოგადოებისას, მოღვაწეობას თბილისავე საპროფესიონალო ჭრა-კერვის სკოლისას, დასავლეთ საქართველოში—ქუთაისში, განზრახულ საზ. „სინათლისა“ და სხ.,—აშკარად დავინახავთ, რომ ცხოვრების ულმობელ პირობებს, თავისი სასტიკი მუჯლუგუნებით, ცოტა არ იყოს თვალები მუფშენტინებია და საგონებელში ჩაუგდია ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი მაინც.

აშკარაა რომ ერთი მიზეზი საუკუნეებით შეძენილ-შერჩენილის, და ხოლო ბოლო დროს დაუზოგველად განიავებულის მიწა-წყლის დაკარგვისა, აგრეთვე ეკონომიურად ჩვენი ჩამორჩენისა და ოჯახის გადაგვარებისა უნდა ვეძიოთ ჩვენ დედაკაცობაში. ჩვენი ხალხი ტყუილად კი არ ამბობს, რომ „დედაკაცს ოჯახის აშენებაც შეუძლია და დაქცევაცაო“, ვინაიდან „ქალმა თუ გაიწია,—ცხრა უღელი ხარიც ველარ დააკავებსო“...

არ ვიცით შემდეგში როგორ ჩამოყალიბდება კაცობრიობის ცხოვრება, ეხლა კი ვხედავთ, რომ საზოგადოებრივი და ეროვნულ ცხოვრების კეთილდღეობა შენდება კერძო, ოჯახურ ცხოვრების მკვიდრ საფუძვლებზედ. შრომაჯაფას შეჩვეული და ღირებულების შემქმნელი, შეგნებული ოჯახური ცხოვრება, რაღა თქმა უნდა, ღირსეულს წევრებს შესძენს საზოგადოებასაც. მაგვარად ოჯახის მძიმე და მრავალფეროვან მოთხოვნილების შეგნებულად გამძღოლ და რამე გვარ ინიციატივის პატრონ წევრებისა, მთავრობის თანამედროვე ზოგადი საშუალო სასწავლებლები იძლევიან უმრავლეს შემთხვევაში პრაქტიკულ ცხოვრებისათვის ყოვლად მოუმზადებელ ქალ-ვაჟებს, რომელნიც საკუთარ ოჯახშიაც თავის-თავს თითქოს სტუმრად სთვლიან; არავითარი, ოჯახისათვის გამოსადეგარი, პროფესიონალური ცოდნა იმათ არა აქვთ, შრომა-გამრჯელობას გაურბიან, მშობლიურ—„ქართული“ ხომ არ ეხერხებათ და მხოლოდღა გადაჭარბებული მადა აქვთ ჩაცმა დახურვისა, ფუფუნებაში ცხოვრებისა და ცალი თვალი ხომ გარედ უჭირავთ უზრუნველად, ფუქსავატურად დროის გასატარებლად.

ამგვარად, ვაჟთა ზოგადი სასწავლებლები ოცის შემყურე მოხელეებს გვიმზადებენ და ქალთა სასწავლებლები კიდევ—პრაქტიკულ ცხოვრებისათვის გამოუსადეგარსა, ოცნებით [illegible] მეორე განა ასეთ ახალგაზდობას შეუძლიან ცხოვრებაში რაიმე ღირებულების შექმნა? ამიტომ რა გასაკვირველია, რომ ჩვენი, როგორც კერძო და ოჯახური, აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრება დაჩიავდა, დაავადდა და მისს გამოსაბრუნებლად რადიკალური ზომებია საჭირო. ეროვნებათა თანამედროვე უმაგალითო შეხლაშეჯახებამ აშკარად დაგვანახვა, თუ ვისა რჩება ბურთი და მოედანი; როგორ შეუძლიან მცირე რიცხოვან ერს, უკეთუ იგი აღჭურვილია—თანახმად რეალურ ცხოვრების მოთხოვნილებისა—ჯეროვანის მომზადებით და გამსჭვალულია შრომისმოყვარეობით, თამამი პასუხი გასცეს ბევრით მასზე მრავალ-რიცხოვან და მასზე უკეთესად მომზადებულ მოზღვავებულ მტრებსაც.

აღნიშნულ კრებაზე სწორედ ამ საჭიროებისაკენ მიუთითებდნენ მეტად საგულისხმიერო სიტყვებით ბ.ბ, ს. კედია, ს. დადიანი, გრ. რცხილაძე, ი. ბარათაშვილი და სხ.; ისინი ჩვენთვის უაღრეს საჭიროებად აღიარებდნენ მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებულ, სამეურნეოსამრეწველო ტიპის სკოლას, და დაჟინებით მოითხოვდნენ თანდათანობით,—სახსარის მიხედვით, გასული წლის კრების დადგენილების განხორციელებას. მაგრამ, ეტყობა, ჯერ არც ისე ადვილი ყოფილა ჩვენი ინტელიგენციის უმრავლესობის განკურნება ასიოდე წლის განმავლობაში მის სხეულში გაჟღენთილ სენისაგან—გიმნაზიომანიისაგან. ამიტომ, ჯერ ხნობით მაინც, უმრავლესობამ გაიმარჯვა და კრებაზე დადგენილ იქმნა, რომ ვაჟთა გიმნაზიასთან არსებული ქალთა სკოლაც გადაკეთდეს ზოგადი ტიპის უფლებიან გიმნაზიად.

ნეტავი როდემდის?!...

გ. ახ—ელი.

# ომი და პარიზი

პარიზმა მრავალი უბედურება გამოსცადა, ისტორიული კრიზისები, რევოლიუციის საშინელი ქარტეხილები, სასოწარკვეთილება, სიცოფე, სიცოცხლის შემოქმედებათა ახალი ფორმები თუ თვით მომსპობი პათოსი, მაგრამ ყოველთვის იგი თავისთავად დარჩენილა და იმ დროს, როდესაც ქუჩებში ბარიკადებზე იბრძოდნენ, ხალხი ყავახანებში და ბულვარებზე არხეინად დასეირნობდნენ, კითხულობდნენ გაზეთებს და პოლიტიკის გარშემო კამათობდნენ. როდესაც 71 წელს ქალაქს ზარბაზნები დაუშინეს, შუა ქალაქში, თეატრებში არ შეუწყვეტიათ წარმოდგენები, ხოლო ისეთი საუკეთესო მოაზრენი, როგორიც იყო რენანი, ტენი, გონკურები, ყავახანაში ტკბილ ფილოსოფიურ მუსაიფს მისცემოდნენ. თვით მაშინაც კი, როდესაც პარიზი მკაცრ ბრძოლის ასპარეზად გარდაიქცა (მაისი 71 წ., ივნისი 48 წ.), რამდენიმე დღის შემდეგ იგი თავის ჩვეულებრივ სახეს იღებდა. არასოდეს მას არ უარუყვია თვისი სკეპტიკური ირონია, ენამახვილობის თავისუფლება, გრძნობა-გონების სიდიადე და ბრწყინვალება.

მაგრამ პარიზი ისე არასოდეს არა ყოფილა, როგორიც იყო ამ ზამთარს 1914—1915 წ. ამ ომის გამოისად პარიზი არაჩვეულებრივ სახეს იღებს. რამდენიმე მთრთოლავი მოძრაობის შემდეგ მარიამობისთვის რიცხვებში, ანუ ენკენისოვის შემაძრწუნებელ ამბავის დროს, როდესაც მოულოდნელად დაინახა ვილჰელმი თვის კარის წინ, პარიზმა სწრაფად განსაზღვრული სახე მიიღო და მას აქეთ არც შეუცვლია იგი.

პარიზი თითქმის ნახევრად ცარიელი იყო, როდესაც ომმა წამოუსწრო. მან ჯერ კარი გაუღო გამოქცეულთა ძლიერ ტალღას, შემდეგ რამდენიმე ასი ათასს ჯარისკაცს, ძილ გაფრთხობილს ყური აეცქვიტა და მუდამ მოლოდინში იყო, აი საცაა გერმანელთა ცხენოსნები გამოჩნდებიანო, მაგრამ შემდეგ მშფოთვარე სული დაუწყნარდა და საბოლოოდ იმ აზრს მიეჩვია, რომ გერმანელები 80 კილომეტრზე არიან.

იანვრის დამდეგს პარიზი პროვინციალური წყნარი და აუღელვებელი ქალაქი გახდა. სრულ წყვდიადს მოუცავს იგი. იგი მზიურ ბრწყინვალებით აღარაა შემოსილი, როგორც ეს იყო ძველად, მან შეგნებულად უარჰყო ყოველისფერი, სიმხიარულე, სიკეკლუცე. დასთმო მარად წარმტაცი კისკისი, ტუჩზე განუშორებელი ღიმილი. იგი უაღრესად მორწმუნე გახდა. მას სწამს ჯარისადმი მოვალეობა, მისი იმედი, სასოება. ისე მოსჩანს,

თითქოს უსაზღვრო ტკივილებს შეუხუთნიათ იგი, როგორც მძიმე ავადმყოფი ოპერაციის დროს ჰკუმშავს მწარედ მუშტს, რომ გულიდან ამომხდარი კივილი შეიკავოს, თითები ერთმანეთში ჩაჰხლართვია, თითქოს ძვალი-ძვალს გადასდნობია...

თქმა არ უნდა, ასეთს მდგომარეობაში შემოქმედებაზე თვით მუზაც დაჭრილი იქმნება. ახლა ის კი არ შეიძლება იკითხოთ, თუ რა არის ახალი ლიტერატურაში, არამედ ის, თუ არსებობს კიდევ ლიტერატურა თუ არა? ამ მხრივ პარიზი სრულს სიღატაკეს წარმოადგენს. თვით ისეთი სახელოვანი მწერლები, როგორიც არიან მორის ბარესი, პოლ ადანი, რონი უფროსი და ჟან რიშპენი მხოლოდ იმაზე ზრუნავენ, რომ ხალხის სულიერი განწყობილება გაამხნევონ, სწერენ წერილებს მომავალ გამარჯვებისას, მაგრამ ყველა ეს ხომ სალიტერატურო ნიმუშს არ შეადგენს.

თუ ეხლა საფრანგეთში აღარ არსებობს ლიტერატურა, თუ ხელოვნება სამგლოვიარო ძაძით შემოსილა, სამაგიეროდ ყოველგან გაისმის სიკვდილის შემზარავი ხმა, მრავალ ახალგაზრდა პოეტისა, მწერლის თუ მხატვრის სახელი იშლება მათი საარსებო სიიდან. მაისის ანგარიშიდან ჯერჯერობით ჩამოთვლილია 95 მოკლული ახალგაზრდა მწერალი, 87 დაჭრილი, 20 ტყვედ წაუყვანიათ. რა გინდა უხვი იყოს საფრანგეთის ნიჭი, რა გინდაც ლიტერატორთა დიდი რიცხვი ჰყავდეს, ეს დანაკლისი მაინც საგრძნობელ ტკივილს მიაყენებს მას. ახლა თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ეს მწერლები სულ ახალგაზრდები იყვნენ, უცნობნი უცხოელთათვის, რომელთა სახელს მხოლოდ ათიოდე წლის უკან გავიგონებდით დამსახურების შემდეგ, მაშინ უფრო საგრძნობელი იქმნება ეს დანაკლისი. არაა მათში არც ერთი, რომ უკვე ორი-სამი ტომი არ ჰქონდეთ გამოცემული. ეს ნორჩი ახალგაზდობა 20—30 წლისანი იყვნენ. მაშასადამე, საფრანგეთს გამოაკლდა ახალთაობის მერცხლები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ანგარიშში მხოლოდ მწერლებზეა ლაპარაკი და სრულიადაც არ ეხება მხატვრებს, მუსიკოსებს, მსახიობთ, არც თუ იმ აუარებელ ახალგაზდობას, როგორც ნორმალურ სასწავლებლის მოწაფენი არიან, რომელთა წრიდან გამოდიოდნენ საუკეთესო ლიტერატორები. აი, ამის გამოა, რომ დღეს საფრანგეთში აღარ გამოდის არც ერთი სალიტერატურო ჟურნალი. ეს გარემოებავე გვიჩვენებს, თუ რა მსხვერპლი გასწირა საფრანგეთმა. მან ომის ცეცხლში გადასტყორცნა ყოველისფერი ის, რაც რამ საუკეთესო ჰქონდა, საუნჯე უშრეტელ სალაროსი, ჯარისკაცად წავიდა ყველა, ვისაც სამსახური შეეძლო და საუკეთესონი გახდნენ პირველი მსხვერპლნი. ეს მსხვერპლი დიახაც რომ არ შეედრება არა თუ რუსეთისას, არამედ ინგლისისასაც, თვით გერმანიისასაც კი.

მაგრამ ომი ხომ ჯერ არ გათავებულა. მოყვანილი ციფრები ჯერ კიდევ იმის ნახევარს არ შეადგენს, რასაც უნდა ველოდეთ ომის დასასრულს. საფრანგეთმა დაჰკარგა მთელი სალიტერატურო თაობა, რომელიც სიმვოლისტებს მისდევდა. ახლა ვინც გადურჩება სიკვდილს, ისინი ახალ რამეს უნდა მოელოდნენ არა თავიანთ შვილებიდან, არამედ შვილიშვილებიდან. ეხლანდელ თაობას ლახვარი ასვია გულზე. აი, ამიტომ არის, რომ საფრანგეთის ტვინი—პარიზი, დღეს ასე გულჩათხრობილია, მან საკუთარი სისხლ-ხორცი გასწირა და ეხლა უზომო ტკივილებით გაფითრებული მხოლოდ ჩამდნარ თითებით ჰკუმშავს მუშტს, როგორც მძიმე ოპერაციის დროს გაწამებული ავადმყოფი... (ბ. ვ.)

## „დენის“ სამხედრო მიმოხილვა

„... გერმანელთა იერიშები ვეპრჟისა და პრუტის შუა, როგორც ტანევის ზემო შესართავთან, მათ ბევრს მასალას აძლევს ილაპარაკონ, რომ ჩვენს ტერიტორიაზე იბრძვიან იგინი. ავტორიტეტულს წრეებში ამის შესახებ ამბობენ, რომ სტრატეგია თვის დანიშნულებად სრულებით იმას არ აღიარებს, რომ ყოველი ნაბიჯი თვის ტერიტორიისა უსათუოდ უბრძოლველად დაუთმოს...

ჩრდილოეთის ფრონტზე როგორღაც სიწყნარე ჩამოვარდა. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სიჩუმე რაღაც საიდუმლო ქუხილს ამზადებს სერიოზულ ოპერაციების დასაწყებად. კერძოდ ბალტიის მხარეში ეს სიწყნარე ჯერ კიდევ ბრძოლის პოზიციურ ხასიათს არ ნიშნავს. და მართლაც, გერმანელთა შვიდი კორპუსი საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენენ და მათი უმოქმედოდ თხრილებში ჯდომა სწორედ დაუჯერებელი რამ იქნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კორპუსები ამა თუ იმ მხარეს გადაწყვეტილ ნაბიჯს გადასდგმენ. თქმა არ უნდა, მათ ნაბიჯის გადადგმას მიზნად ექმნება ჩვენი ლაშქრის ფრთები შეავიწროვონ, ან და დაპყრობილი რაიონი გააფართოვონ. შეიძლება კიდევ ერთი რამ მოსაზრება წარმოვაყენოთ: იქნებ გერმანელებს აზრად აქვთ ნემანის გამაგრებულ რაიონს მოუარონ, რომ ეს უკანასკნელი მოსწყვიტონ საკუთარ ბაზას მაშინ, როდესაც სამხრეთით ლიუბლინისა და ხოლმის გუბერნიებში მათი მეორე ფრთა გააფართოვებს ოპერაციებს.

რუსის სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, რომ ეს მეტად რთული და ძნელად განსახორციელებელი გეგმა იქნებოდაო. მართალია, გერმანელებმა სამჯერ სცადეს ამ გეგმას დასდგომოდნენ, მაგრამ სამჯერვე ხელი შეეშალათ. მეორე მხრით, მთელი ეს გამაგრებული რაიონი ისე კარგადაა შეიარაღებული, რომ თუნდაც უკანიდან მოუარონ, იგი არ მიატოვებს თავის სიმაგრეებს. მეორე მხრით, თვით გერმანელთაც ელით მაშინ საფრთხე, რომ ზურგიდან ჩვენ თვითონ არ მოვექცეთ მათ.

ბალტიის მხარეს ისე მოსჩანს, თითქოს გერმანელები თავიანთ ძალ-ღონეს საზღვაო ფლოტზე ამყარებენ. უნდა ვიფიქროთ, რომ ხმელეთის ჯარი ადვილად არ მოშორდება ნაპირებს.

კოვნის რაიონში სრული სიჩუმეა...

ბზურაზე გერმანელები რაღაც ჯარების საჭვო გადაყვან-გადმოყვანაში არიან. ჰფიქრობენ, ამით რუსთა ჯარების თვალის ახვევა ჰსურთ, რომ გადაჯგუფების ნამდვილი სახე დაჰფარონო: ჯართა ნამდვილი გადაჯგუფება საიდუმლოებითაა მოცული.

სამხედრო ავტორიტეტები ჰფიქრობენ, რომ შესაძლებელია ამ ახლო მომავალში ოპერაციის მძიმე ცენტრი ახლა ჩრდილოეთით გადაიტანონო. სად მოხდება ეს ოპერაციები, არავინ უწყის. შესაძლებელია ეს მოხდეს ბზურაზე, ან და ვისლაზე, მის ზემო შესართავთან. კერძო და წვრილმან შეჯახებას, უეჭველია, მალე მოჰყვება დიდი ომი...

## თბილისის თვითმართველობის საზოგადოებრ ვობა

როგორც გავიგეთ, ერთ-ერთ წევრს თბილისის გამგეობისას გამოუთქვამს აზრი, რომ წვრილი მეპურეები და ყასბები უჭირებენ საქმეს თვითმართველობას თავიანთი ყოფაქცევითაო, ამიტომ ჩვენ აზრადა გვაქვს ისეთ გაჭირვებამდე მივიყვანოთ ისინი, რომ იძულებულნი გავხადოთ მიხურონ თავიანთი დუქნები, მაშინ რამდენიმე **მსხვილ** მწარმოებელს ჩავაბარებთ პურისა და ხორცის საქმეს და ისინი უფრო გააიაფებენ სანოვაგესაო.— ათასი წვრილი მეპურე და ყასაბი, რომელნიც ეხლა ამით ცხოვრობენ, ისინი სადღა წავლენო, უკითხავს მობაასეს.— სხვა საქმეს მოჰკიდონ ხელიო. ჩვენ არას გზით არ გვჯერა ასეთი შეხედულება **საზოგადოებრივი** დაწესებულებისა. თუმცა უკანასკნელი დროის მოვლენები ამას ამტკიცებენ, მაგრამ მაინც უნდა გამოვთქვათ ჩვენი აზრი, რომ თუ მართლა ასეთი მავნე შეხედულობა არსებობს, იგი ძირიდანვე უნდა მოისპოს. ყასბების და მეპურეების მადის ასალაგმავად ათასი საშუალება არსებობს, ჯერ ერთი, და მეორეს მხრით კი პურზე და ხორცზე მონოპოლიის შექმნა ყოვლად შეუწყნარებელია. საინტერესოა ამ საკითხის ნამდვილი ვითარების გაშუქება, ნამეტნავად ასეთი სიძვირის დროს. ეს ერთგვარი ფასების ხელოვნური ზრდის მომასწავებელია, რაც არა ერთხელ აღნიშნა თვით ადმინისტრაციამაც.

## ქალაქის საბჭო

22 ივნისი.

კრება გაიხსნა, ქალაქის მოურავის თავმჯდომარეობით, საღამოს $8^{1}/_{2}$ საათზე. თავმჯდომარემ წაიკითხა მისი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტი სტატს-სეკრეტარის ი. ლ. გორემიკინის სახელობაზე საკანონმდებლო პალატების მოწვევისა და საზოგადოებრივ ძალებთან ერთად მუშაობის შესახებ მტრის დასათრგუნავად. საბჭომ ფეხზე ადგომით მოისმინა რესკრიპტი და ერთხმად დაადგინა, უქვეშევრდომლესი დეპეშა გაუგზავნოს მის უდიდებულესობას. თავმჯდომარემ შემდეგ წაიკითხა გამგეობის მიერ შემუშავებული ვრცელი მოხსენება კავკასიაში ერობის შემოღების საჭიროებაზედ. მოხსენებაში საკმაოდ დასაბუთებულია ამ ინსტიტუტის შემოღების საჭიროება არა მარტო ჩვენი კუთხისათვის, არამედ მთელ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად. მოხსენება, აღნიშნავსრა: 1) ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტს გორემიკინისადმი, რომელშიაც საზოგადოებრივ თვითმოქმედებისა და ძალებზე დიდი ყურადღებაა მიქცეული, ხოლო საზოგადოებრივ ერთ საუკეთესო ძალას ერობა წარმოადგენს, 2) კავკასიის ქალაქთა მოღვაწეობის დადგენილებას უკანასკნელ კრებაზე ამ საგნის შესახებ და 3) თბილისის ქალაქის თვითმართველობის მრავალ დადგენილებას ამავე საგანზედ, წინადადებას აძლევს საბჭოს კავკასიის სხვა ქალაქებთან ერთად დაუყოვნებლივ აღძრას შუამდგომლობა კავკასიაში ერობის აუცილებელ საჭიროებაზე. **ხმ. ა. ს. ბაბოვს** საჭიროდ მიაჩნია შუამდგომლობამ მიაღწიოს საკანონმდებლო პალატებამდისინ, ამასთანავე ხმოსანი ურჩევს საბჭოს დახმარება სთხოვოს ამ საქმეში რუსეთის ერობათა და ქალაქთა კავშირებს, სახელმწიფო სათათბიროს თავჯდომარეს, თბილისის გუბერნიისა და კავკასიის დანარჩენ გუბერნიათა დეპუტატებს სახელმწიფო სათათბიროში და საზოგადოებათა სხვა ორგანიზაციებს.

**ხმ. ევანგულოვის** აზრით, შუამდგომლობის გაგზავნამ ერთი კვირით რო დაიგვიანოს, არა დაშავდება რა, ამიტომ იგი თხოულობს გამგეობამ დაახეჭდვინოს თავ. გ. მ. თუმანოვის ნაწერები ერობის შესახებ ჩვენში, რომელსაც ხმოსნები გაეცნობიან და შემდეგ გამოიტანენ თავიანთ დადგენილებას ამ დიადი საგნის შესახებ. **ხმ. რუსანოვის** აზრით, ერობის შესახებ საკითხის განხილვა არ შედის ქალაქის თვითმართველობის პროგრამაში, ამასთანავე ეხლანდელი დრო შესაფერისიც არ არის ამგვარ შუამდგომლობისათვის, რადგან ამ ჟამად მოზვავებულ მტერთან გვაქვს ბრძოლა, რომელსაც ჯერ უნდა ვსძლიოთ. ამიტომ ორატორი ურჩევს საბჭოს შუამდგომლობის აღძვრა გადაიდოს შესაფერის დრომდე.

საბჭომ ხმის დიდძალი უმეტესობით დაადგინა, დაუყონებლივ აღიძრას შუამდგომლობა.

საბჭო შემდეგ შეუდგა დანარჩენ საქმეების განხილვას. სხვათა შორის შეწყნარებულ იქმნა გამგეობის მოხსენება, რომ 12,500 მანეთი გადაიდოს ნიაღვრებისაგან ღორღით სავსე ქუჩების გასასუფთავებლად და 7,000 მან. ნიაღვრებისგანვე დაზიანებულ არხების შესაკეთებლად. აგრეთვე ფარულ კენჭის ყრით შეწყნარებულ იქნა გამგეობის მოხსენება, რომ საქალაქო სკოლების გამგებლად ყოფილ პაპიტაშვილს და ამირაღოვს წლიურად მიეცეს თითოს 720 მან. ხანგრძლივი კამათი გამოიწვია ავლაბრელ მებაკეების თხოვნამ, რომ ბაკების გადატანის ვადა გადასდონ. როგორც კრებაზე გამოირკვა, ხსენებული ბაკები, გარდა ერთისა, რომელიც კვეზერელ-კოპაძეს ეკუთვნის, სიბინძურისა და გარყვნილების ბუდეს წარმოადგენენ. ამიტომ სავალდებულო დადგენილების ძალით ისინი ქალაქის განაპირას უნდა გადაეტანათ, მაგრამ ქალაქის საბჭოს ერთხელ 6 თვე ვადა მიუცია იმათთვის, მეორედ ისევ 6 თვე და მესამედ 2 თვე. ამ ჟამად გამგეობის აზრით 3 თვე ვადა უნდა მიეცეს. **ხმ. ა. ბაბოვის** აზრით, ბაკები ეხლავე უნდა გადავიდეს ქალაქის განაპირას, სახელდობრ ვაკეზე. **ხმ. ი. მ. დოლუხანოვს** ბაკები საშიშრად არ მიაჩნია ჰიგიენის მხრივ, და თუ ისინი საშიშია ამ მხრივ, იმათ ანტიჰიგიენურ მდგომარეობაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა გადატანაზე. ეს გადატანა, ხმოსანის აზრით, არც ისე ადვილია, როგორც ჰგონიათ და ამიტომ საკმარისი არ არის უბრძანოთ, ადექით და სხვაგან წადითო. გარდა ამისა, ხმოსანის აზრით, ბაკები ხალხისთვის საჭირო ადგილს წარმოადგენენ, სადაც მრავალგვარი საქონელი ჩამოაქვთ სოფლელებს გასასყიდად. **ხმოსნებმა ზორიანმა და მაზმანოვმა** ნათლად დაამტკიცეს ბაკების ყოველგვარი მავნებლობა მცხოვრებლებისათვის. რამდენიმე ბაკი პასკევიჩის ქუჩაზე რომ იყვესო—სთქვა ბ-მა **მაზმანოვმა**—ი. მ. დოლუხანოვი სულ სხვა კილოზე ილაპარაკებდაო. **ხმ. ა. მილოვის** წინადადებით საბჭომ დაადგინა მომავალ წლის 1 იანვრამდე კიდევ თავიანთ ადგილას დარჩენ ბაკები.

ბოლოს საბჭომ ფარულის კენჭის ყრით აირჩია მზრუნველები, რომელთაც ყური უნდა უგდონ სავალდებულო დადგენილებას სახელოსნოებში მოსამსახურეთა ნორმალურ ღასვენების შესახებ. არჩეულ იქმნენ ხმოსნები: პ. ს. ვასილიევი, გ. გ. კაფიევი, ს. ა. გალსტიანი, ი. ს. ნესმაშნი, ზ. ნ. ზორიანი, მ. ნ. ზარგარიანი, ს. ა. მინეევი და ვ. დ. მამულოვი.

კრება დასრულდა ღამის 12 საათზე.

## ომში დაჭრილნი

თ-დი **გედევანიშვილი** ალექსანდრე კონსტანტინეს ძე.

პორუჩ. **თარხნიშვილი** ნიკოლოზ გენადის ძე.

**კასრაძე** ნიკოლოზ სიმეონის ძე.

**დიდებულიძე** ალექსანდრე დიმიტრის ძე.

## ჩვენი ცხოვრება

**შიმშილობა ზუგდიდის მაზრაში.**

როგორც წინა წერილში აღვნიშნეთ, წელს მოუსავლობის გამო დიდს განსაცდელში ჩავარდა ზუგდიდის მაზრა. ვერ ნახავთ სოფელში ისეთ ოჯახს, სადაც ორი-სამი დღის სამყოფი სიმინდი მოიპოვებოდეს, ზოგს კი სრულიად არაფერი აქვს. ოჯახში შესვლისას საზარელი სურათი წარმოგიდგებათ თვალ წინ:

შიშველ-ტიტველი ბავშვები სიმშილისაგან გამწარებულნი დარბიან ეზოში, ხან ერთ ხეზე ადიან ხილის მოსაკრებად, ხან მეორეზე, მაგრამ ამით საწყლები თავს ვერ იკმაყოფილებენ. ამ სურათის შემყურე მშობლებს თავიანთი თავი ივიწყდებათ, რა ხერხს უნდა მიმართონ, საიდან უნდა იშოვონ საჭმელი, რომ ბავშვები სიკვდილს გადაარჩინონ. ვის სთხოვონ შველა, როდესაც მათ გარშემო ყველა ასეთივე მდგომარეობაშია.

ნუ თუ მართლა ასე გაჭირდა სიმინდის მოტანა! როგორც ვიცით, ჩრდილო-კავკასიაში სიმინდი ბლომად არის, ხოლო ვაგონები არ არისო. ნუ თუ ასე დაუძლეველია ეს სენი, ნუ თუ სხვა გზა არ არის, რომ სიმინდი ჩამოიტანონ. როგორც გავიგეთ, შავ ზღვაში ხომალდები მუშაობენ; მაგალითად, ნოვოროსიიდან ფოთში ხშირად მოაქვს მარილი. შესაძლებელია ამ ხომალდებით ჩვენც ვისარგებლოთ და სიმინდი ჩამოვიტანოთ.

მხოლოდ ასეთი საშუალებით შეიძლება ხალხი სიკვდილს გადარჩეს და სოფელი მთლად არ განადგურდეს.

* * *

დიდი ხანია რაც სოხუმი ნოვოროსიის რკინის გზის მუშაობა დაიწყო. მუშები ბლომად არიან, მაგრამ მათ შორის ქართველებს ძალიან იშვიათად შეხვდებით.

თუმცა მთხოვნელი ქართველი ბევრია, მაგრამ ქართველს სამსახურში არ ღებულობენ, რადგანაც ზოგიერთ „ვაჟბატონებს“ რჩევა მიუციათ უფროსებისთვის, ქართველები ამ საქმეში არ გამოდგებიანო. რით აიხსნება ასეთი თავხედობა იმ „ვაჟბატონებისა“—თვითონ მკითხველისთვის მიგვინდვია.

**ძიკი გეგეჭკორი.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 ს. | 16 წ. | საღ. |
| გურჯაანიდან . . . | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 ს. | 42 წ. | საღ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში , . . . | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | საღ. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | საღ. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | საღ |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ . . | 8 ს | 53 წ. | საღ. |
| ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | საღ. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ | დღ. |

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—20

მეხილეთა ამხანაგობა

**„ქართლი“**

„ქართლის“ კოოპერატიულ მაღაზიაში (ძველი სემინარიის შენობა) ყოველდღე ჩამოდის ახალი ხილი ამხანაგობის წევრებისაგან. მსურველთ შეუძლიანთ შეიძინონ ყოველნაირი ხილი იაფად. წ.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეჯვეოლოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-ძვით“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძსწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან

სურის გადუჭყვეტლად იქ გიძიო, ძზერით ვსტკებოდე, გაგვასაძართლე, დედოფალო, და ძსჯავრი დაგვედ,